



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 13
06/02/2019

13-06-4-201902061532



„ცაგერის კულტურის სახლის რეორგანიზაციისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ შექმნის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 10 დეკემბრის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.

ცაგერის კულტურის სახლის რეორგანიზაციისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ შექმნის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 10 დეკემბრის №41 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების მე-2 მუხლი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

გ. შუაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო